თემა № 5: სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა და ხელშეკრულებები

5.1.სახელმწიფოთაშორისი და გლობალური თანამშრომლობის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები

ცნობილია, რომ მსოფლიოს განვითარების ისტორიაზე დიდი გავლენა მოახდინა ორმა მსოფლიო ომმა, რომლის დროსაც 1914-1918 და 1939-1945 წლებში 58 მილიონი ადამიანი დაიღუპა. ამიტომ ახალი ომის თავიდან აცილების მიზნით პოლიტიკოსებმა ერების გართიანება სცადეს. ასე შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოთაშორის და გლობალურ თანამშრომლობაზე გავლენას ახდენენ. კერძოდ ესაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო); მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ); რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი); ევროგაერთიანება და სხვა.

თავდაპირველად ამ ორგანიზაციების მიზანი მომავალში მსოფლიო ომის თავიდან აცილება იყო, მაგრამ შემდეგ წევრმა ქვეყნებმა ყურადღება მიაქციეს საერთაშორისო ბიზნესსა და სხვა საკითხებს. ამიტომაც 1940-იანი წლების შუა პერიოდიდან, ბევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ თუ აპირებდნენ მეორე მსოლფიო ომის ნანგრევებიდან ამოსვლას და ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობის ხელშეწყობას თავიანთი საზღვრების ფარგლებში, ისინი უნდა დახმარებოდნენ მეზობელ ქვეყნებს და თავადაც მიეღოთ დახმარება, ანუ მოსულიყვნენ მათთან ეკონომიკურ ინტეგრაციაში.

აშშ ამგვარი ეკონომიკური ინტეგრაციის კარგი მაგალითია: მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკონომიკა შედგება 50 შტატისგან ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე და რამდენიმე წყნარი ოკეანის კუნძულისგან, რომლებსაც საერთო სავალუტო ერთეული და მუშახელისა და კაპიტალის მობილობა აქვთ. თუმცა, ის მხოლოდ ერთი ქვეყანაა.

რა შეიძლება ითქვას დანარჩენ მსოფლიოზე? როგორ აერთიანებენ მისი სახელმწიფოები და რეგიონები ძალებს იმისათვის, რომ გასცენ და მოიპოვონ დახმარება, რაც ერთად წარმატების მისაღწევად სჭირდებათ?-ამ კითხვებზე პასუხისათვის უნდა განვიხილოთ ქვემოთ მოხმობილი საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ზეგავლენა სახელმწიფოთაშორის და გლობალურ თანამშრომლობაზე.

წინმადებარე თემა ორიენტირებულია სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებებზე, რომლებიც შეიქმნა იმისათვის, რომ შემცირებულიყო სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერები და გაზრდილიყო ვაჭრობა და ინვესტიციები წევრ სახელმწიფოებს შორის. თუმცა, არსებობს თანამშრომლობის სხვა ფორმებიც, რომლებიც ღირს აღნიშვნად, რადგან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობასა და განვითარებაზე მრავალი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით.

თანამშრომლობის ერთ-ერთი ასეთი ფორმაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (**გაერო),** რომლის რეზიდენცია ნიუორკში მდებარეობს და მოქმედებს 1945 წლის 24-ოქტომბრიდან. (გაერო) დაფუძნდა მეორე მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული განადგურების საპასუხოდ, იმისათვის, რომ ხელი შეეწყო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის და გლობალური პრობლემების მოგვარებისთვის ისეთ მრავალფეროვან სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება, ანტიტერორიზმი და ჰუმანიტარული ქმედებები.

(**გაერო)-ს საწესდებო მიზნებია:** 1)მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება; 2) ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირების განვითარება; 3)ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემებზე თანამშრომლობის განხორციელება; 4) ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისებურებებისადმი პატივისცემის წახალისება მიუხედავად მათი რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა. თუ გაერო შეასრულებს მის პასუხისმგებლობებს, მან უნდა გააუმჯობესოს გარემო, რომელშიც მულტინაციონალური საწარმოები მუშაობენ მთელს მსოფლიოში, რისკის შემცირებითა და მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფით.

1992 წლის 6 ივლისს მიღებული რეზულიციის საფუძველზე საქართველო კენჭისყრის გარეშე გახდა გაეროს 179-ე წევრი.

მთავრობები ხშირად აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან სავაჭრო ბარიერების გასაუქმებლად. სწორედ ამ საქმეს ემსახურება **მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO), რომელიც ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (GATT)-ის მემკვიდრეა.** მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მთავარი ორგანოა ორმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებებისთვის, სავაჭრო შეთანხმებების დადებისა და შესრულებისთვის.

1947 წელს, 23 ქვეყანამ კვოტების გასაუქმებლად და ტარიფების შესამცირებლად გაეროს მფარველობის ქვეშ ჩამოაყალიბა GATT-ი. 1995 წელს, როცა GATT-ი WTO-მ ჩაანაცვლა, ამ უკანასკნლეში გაწევრიანებული იყო 125 სახელმწიფო. ამჟამად კი WTO-ში 160 წევრია გაერთიანებული. ბევრს სჯერა, რომ GATT-მა თავისი წვლილი შეიტანა სავაჭრო ლიბერალიზაციაში და საშუალება მისცა მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებას მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ტარიფებისა

და ვაჭრობის გენერალურმა შეთანხმებამ შექმნა უწყვეტი საშუალებები ქვეყნებისთვის, რომ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები სავაჭრო ტარიფების შემცირებასა და ტარიფების გაუქმებაზე, შეთანხმებულიყვნენ საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივებულ მექანიზმზე. როგორც ითქვა, 1995 წელს GATT-ი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციამ (WTO)-მ შეცვალა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO)-ს შტაბბინა ჟენავაში (შვეიცარია) მდებარეობს. (WTO)-ს გააჩნია სამი ოფიციალური ენა: ინგლისური, ფრანგული და ესპანური.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციას აქვს სამი ძირითადი მიზანი: 1.ხელი შეუწყოს გარე ვაჭრობას დისკრიმინაციის გარეშე, ანუ მისი თითოეული წევრი ვალდებულია გააღოს თავისი ბაზარი სხვა წევრი სახელმწიფოებისთვის თანაბრად; 2.მოლაპარაკებების გზით მიაღწიოს ვაჭრობის თანდათანობით ლიბერალიზაციას; 3.დანერგოს სავაჭრო დავების მოგვარების სამართლიანი მექანიზმები, რადგანაც ეს არის ადგილი, სადაც შესაძლებელია სავაჭრო უთანხმოების მოგვარება სავაჭრო კანონმდებლობის გამოყენებით.

WTO-ს თავისი კრიტიკოსებიც ჰყავს, რომლებიც აცხადებენ, რომ მისი მცდელობები ძირს უთხრიან გლობალურ მრავალფეროვნებას, მდიდრები კი ღარიბების ხარჯზე სარგებლობენ.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან (WTO)-ში პირველად გაწევრიანდა: ლატვია, ყირგიზეთი (1998წ) და საქართველო 2000 წლის 14 მაისს. ამის შემდეგ საქართველომ განახორციელა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია: 1. გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება; 2.შეზღუდული საქონლის ექსპორტ-იმპორტზე შენარჩუნებულია აკრძალვა და ლიცენზირება; 3. იმპორტზე ტარიფის განაკვეთები საბაჟო ღირებულების 5-12%-ს შორის მერყეობს; 4. ექსპორტი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ შეიქმნა 1944 წელს, ფუნქციონირება დაიწყო 1947 წელს), რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას სავალუტო-საფინანსო სფეროში და საერთაშორისო ვაჭრობაში. მისი მიზანია: 1. უცხოურ ვალუტაში გასცეს სესხი იმ ქვეყანაზე, რომელიც საგადამხდელო ბალანსის დროებით დეფიციტს განიცდის; 2. დაეხმაროს სავალუტო კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას.

სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარებაში, ასევე, დიდია მსოფლიო ბანკის (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი) როლიც, რომელიც დაფუძნდა ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულების მონაწილეების მიერ ევროპული სახელმწიფოების ომისშემდგომი ეკონომიკის აღდგენის

დაფინანსების მიზნით. მსოფლიო ბანკმა ეს ამოცანა შეასრულა 50-იანი წლების შუა ხანებში, რომლის შემდეგ მის წინაშე დადგა სხვა მისია: განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების, ბიზნესების აღმავლობა. იგი მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან მოზიდულ რესურსებს იყენებს ღარიბი ქვეყნებისათვის კრედიტების გასაცემად, რათა: 1. ამ ქვეყნებმა შეძლონ გზების, წყალგაყვანილობის და სხვა სახის ინფრასტრუქტურაში კაპიტალის ინვესტირება. 2.დაეხმაროს ამ ქვეყნებს რეკომენდაციებით ამ სახსრების საუკეთესო გამოყენებასთან დაკავშირებით. მსოფლიო ბანკი სავალუტო ფონდთან ერთად დაარსდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შეიქმნა 1944 წელს და ფუნქციონირება დაიწყო 1946 წლიდან.

5.2. ორმხრივი, რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია

ეკონომიკური ინტეგრაცია არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოების, რეგიონებისა და მთელი მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების აღწერისთვის, სადაც უპირატესობა წევრ ქვეყნებს ენიჭება. ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია, სადაც უპირატესობა წევრ ქვეყნებს ენიჭება, შესაძლოა იყოს: ორმხრივი; რეგიონალური; გლობალური.

ორმხრივ ინტეგრაცია. ორმხრივ ინტეგრაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ორი ქვეყანა გადაწყვეტს ერთმანეთთან უფრო ახლო თანამშრომლობას, თავისუფალ ვაჭრობას, როგორც წესი, სატარიფო ბარიერების შემცირების ფორმით. საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულება აქვს თურქეთთან, ჩინეთთან. ორმხრივი ხელშეკრულება, ასევე, შესაძლოა მოიცავდეს ერთ ქვეყანას, რომელიც გარიგებაშია სხვა ქვეყნების ჯგუფთან. მაგალითად, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია ისლანდია).

რეგიონალური ინტეგრაცია. რეგიონალური ინტეგრაცია არის ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობენ, გადაწყვეტენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას. რეგიონალური სავაჭრო ხელშეკრულებები არის ინტეგრაცია, რომელიც შემოიფარგლება რეგიონით და მოიცავს ორზე მეტ ქვეყანას. რეგიონალური ინტეგრაციის მაგალითია: ევროკავშირი; ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია; NAFTA - თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოეთ ამერიკული

გაერთიანება; MERCOSUR - სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზარი-არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი, ვენესუელა და სხვა.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გულისხმობს იმას, რომ ხელმომწერი ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ ინტეგრაციული დაჯგუფის წევრებს. რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის დაჯგუფებმა და მრავალეროვნულმა კორპორაციებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ქვეყნებმა დაინახეს თანამშრომლობისა და საბაზრო წილის ზრდის უპირატესობა.

NAFTA. NAFTA არის თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოეთ ამერიკული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს კანადას, აშშ-ს და მექსიკას. ხელშეკრულება NAFTA-ს შექმნის შესახებ გაფორმდა 1992 წელს და ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვარს. ამ ჯგუფის მიზანია თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა და კანონმდებლობის გაერთიანება გარემოს დაცვის სფეროში. NAFTA-ში ნაკლებად განვითარებული წევრებისთვის (მექსიკა) ფინანსური დახმარების გაწევა არ არის გათვალისწინებული.

ჩრდილო ამერიკის ბაზარი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და ყველაზე მდიდარი ბაზარია. კანადასა და აშშ-ს შორის ჩამოყალიბდა მსოფლიოში ყველაზე მსხვილმასშტაბიანი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობა. ეკონომიკური რეფორმებმა, რომელთა განხორციელება დაიწყო მექსიკაში 1982 წელს, გაზარდეს ამ ქვეყნის როლი მსოფლიო ეკონომიკაში.

MERCOSUR. MERCOSUR არის სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზარი. ეკონომიკური და პოლიტიკური შეთანხმება არგენტინას, ბრაზილიას, ურუგვაის, პარაგვაის და ვენესუელას შორის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს თავისუფალ ვაჭრობას, ასოციაციის წევრი ქვეყნების საქონლის, მოსახლეობის და ვალუტის მოქნილ გადაადგილებას. Mercosur - ში თავმოყრილია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის მოსახლეობის 55.3% (300 მილიონზე მეტი ადამიანი), რეგიონის ქვეყნების პირდაპირი ინვესტიციების 40% და საგარეო ვაჭრობის 33%. ასოციაციის წევრთა მთლიანი მშპ აღწევს 3.3 ტრილიონს აშშ დოლარს. გაერთიანება ზომისა და ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით წარმოადგენს მეორე საბაჟო კავშირს ევროკავშირის შემდეგ და მესამე თავისუფალი სავაჭრო ზონას ევროკავშირისა და NAFTA- ს შემდეგ.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა (არგენტინა, ბრაზილია და სხვა) დამოუკიდებლობა მოიპოვეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში. ამ ქვეყნებიდან ბევრი მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და ნოყიერი მიწებით. ამის მიუხედავად,

ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში დაუსრულებელი პოლიტიკური არასტაბილურობა, ისევე როგორც იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა, არსებითად აძნელებს კონტინენტის ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში სამხრეთ ამერიკის ძირითადი ქვეყნები, მათ რიცხვში არგენტინა, ბრაზილია და ჩილე გადავიდნენ ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის რეალიზაციაზე, რომელიც გულისხმობს თავისუფალ ბაზარზე ორიენტაციასა და საექსპორტო ვაჭრობის მხარდაჭერას. პრივატიზაციამ და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვამ გამოიწვია საერთაშორისო კომპანიების დაინტერესების გაღვივება კონტინენტის ბაზრებისადმი. სამწუხაროდ, ახალი ათასწლეულის დასაწყისში სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ძლიერ შეფერხდა. აღნიშნულის დაძლევის ერთ-ერთი გზა გლობალური თანამშრომლობაა.

გლობალური ინტეგრაცია. გლობალური ინტეგრაციის დროს მთელი მსოფლიოს ქვეყნები გადაწყვეტენ თანამშრომლობას მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის საშუალებით და ხდება საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მთავარი ორგანოა:** ორმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებებისთვის, სავაჭრო შეთანხმებების შესრულებისა და დავების გადაწყვეტისათვის.

5.3.საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის წანამძღვრები და ძირითადი ტიპები

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ეს არის მისი წევრი ქვეყნებისა და, უწინარეს ყოვლისა, მათ ფირმებს შორის ღრმა და მდგრადი ურთიერთკავშირების განვითარების საფუძველზე სამეურნეო შეზრდის (გადახლართვის) პროცესი ცალკე გაერთიანებაში. **საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ტიპებია:** თავისუფალი ვაჭრობის ზონა; საბაჟო კავშირი; საერთო ბაზარი; სრული ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი.

საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები მეტწილად განისაზღვრება არა წმინდა სავაჭრო კავშირებით, არამედ სხვადასხვა ქვეყნების ცალკეულ ფირმებს შორის გრძელვადიანი ეკონომიკური თანამშრომლობით, უწინარეს ყოვლისა, ტეკ-ის სისტემაში შემავალი სხადასხვა სახის შვილობილი საწარმოებს შორის.

ეკონომიკური ინტეგრაციის წანამძღვრები. ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას ხელს უწყობს რიგი წანამძრვრების არსებობა. ასე მაგალითად, **ქვეყნებს შორის ინტეგრირებას ხელს უწყობს მათ შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული საკმაოდ მყარი კავშირები. ასევე, მათსა და ფირმებს შორის ინტერესების ერთიანობა და ისეთი პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტა ერთობლივი ძალისხმევით უფრო ეფექტიანია, ვიდრე ცალ-ცალკე დამოუკიდებლად.** მაგალითად, ფრანგები ფიქრობდნენ, რომ მათ და გერმანელებს უნდა დაევიწყებინათ წყენა მეორე მსოფლიო ომის გამო. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ევროპის კავშირი წარმატებით მოქმედი ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ბაზაზე. პროგრამა ითვალისწინებდა გერმანულ ქვანახშირზე და ფრანგულ ფოლადზე კავშირის წევრებისათვის ტარიფებისა და კვოტების შემცირებას. ფრანგებს ესაჭიროებოდათ გერმანული ქვანახშირი თავიანთი მატარებლების გადაადგილებისათვის, თავის მხრივ, გერმანელებს ესაჭიროებოდათ ფრანგული ფოლადი მატარებლების მშენებლობისათვის.

მეორე მნიშვნელოვანი წანამძღვარია ინტეგრირებადი ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, რომლებიც ჩვეულებრივ ერთ რეგიონში მდებარეობენ და აქვთ საერთო საზღვრები. მაგალითად, აშშ-სა და კანადას შორის საქონლის ნაკადების გადაადგილება. ან კიდევ თურქეთსა და საქართველოს შორის ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები. რუსეთის მიერ საქართველოსთვის ემბარგოს გამოცხადების შემდეგ თურქეთმა რომ ჩაიცვა #1 სავაჭრო პარტნიორის მაისური იმის შემდეგ აღარ გაუხდია.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს კულტურულ-ისტორიული ხასიათის სიახლოვეს ანუ ერთი ცივილიზაციისადმი კუთვნილებას. მაგალითად, პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებს აახლოებს საერთო ენა, ისტორიულ-კულტურული ერთობა. ინტეგრაციული პროცესები შედარებით პროდუქტიულად მიმდინარეობს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დაახლოებით ერთიდაიგივე დონეზე იმყოფებიან. ამის მაგალითია ევროკავშირი. თუმცა, თანამედროვე ინტეგრაციული დაჯგუფებები მოიცავენ ქვეყნებსაც, რომლებიც განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. მაგალითად, ჩრდილო ამრიკის ვაჭრობის ზონა აერთიანებს აშშ-ს, კანადასა და მექსიკას.

ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, აგრეთვე, იდეოლოგიური და ისტორიული სიახლოვეც. კუბა იყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი იმიტომ, რომ მის ეკონომიკასა და პოლიტიკას აქვს კომუნისტური მიმართულება.

განვიხილოთ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ტიპები. თავისუფალი ვაჭრობის ზონა. ზონის წევრ ქვეყნებს შორის გაუქმბეულია სავაჭრო შეზღუდვები და, უწინარეს ყოვლისა, საბაჟო გადასახადი. თუმცა, შენარჩუნებულია წევრი ქვეყნების მიერ დაწესებული მაღალი ინდივიდუალური საგარეო საბაჟო ტარიფები იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც არ შედიან ზონაში. ამგვარად, თავისუფალი სავაჭრო ზონისთვის დამახასიათებელია არანაირი შიდა ტარიფები და მაღალი ინდივიდუალური გარე ტარიფები.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების შედეგია ვაჭრობის გაფართოება, რამდენადაც წევრი ქვეყნებისთვის ბარიერები უქმდება, მაგრამ ისინი მაღალი რჩება არაწევრი ქვეყნებისთვის. ეს არის სავაჭრო ბარიერების გაუქმების **სტატიკური ეფექტი. დინამიკური ეფექტებია** შიდა და გარე შედეგები, რომლებიც წარმოიქმნება საბაზრო ზომისა და წარმოების მასშტაბის ცვლილებებით.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს: ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან; დსთ-ან; თურქეთთან; ჩინეთთან. საქართველოს შეღავათიანი ვაჭრობის რეჟიმი აქვს: აშშ-თან; კანადასთან; იაპონიასთან. საქართველოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი აქვს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებთან.

სირთულით შემდეგია საბაჟო კავშირი. აქ თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფუნქციონირებასთან ერთად დგინდება ერთიანი საგარეო სავაჭრო ტარიფები მესამე ქვეყნებთან მიმართებაში. ანუ შიგა ტარიფები იცვლება ერთიანი საგარეო ტარიფებით. ამგვარად, საბაჟო კავშირისთვის დამახასიათებელია არანაირი შიდა ტარიფები და საერთო გარე ტარიფები. საბაჟო კავშირი იყო საწყისი ეტაპი ევროკავშირის შექმნის გზაზე. მაგალითად, ევროგაერთიანებამ გააუქმა შიდა ტარიფები 1959 წლიდან 1967 წლამდე, როცა მან დააფუძნა საერთო გარე ტარიფი. ახლა ის აწარმოებს მოლაპარაკებას (WTO)-ში, როგორც ერთიანი რეგიონი და არა როგორც ცალკეული ქვეყანა.

საბაჟო კავშირს მიეკუთვნება: ევრაზიული საბაჟო კავშირი (რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბელორუსი, სომხეთი); ანდების ჯგუფი (ვენესუელა, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, ბოლივია); ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი (კოსატა-რიკა, სალვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, ნიკარაგუა); კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების თანამეგრობა და საერთო ბაზარი (ბაგამის კუნძულები, გაიანა, დომინიკა, ბარბადოსი, გრენადა, სენტ-ლოსია და სხვა).

შედარებით რთული ფორმაა საერთო ბაზარი. აქ საბაჟო კავშირის ყველა მახასიათებელს ემატება წარმოების ფაქტორების (შრომის, კაპიტალის) შეუზღუდავი, თავისუფლი გადაადგილება. ე.ი. საერთო ბაზრისთვის დამახასიათებელია საბაჟო კაშირი და, აგრეთვე, ფაქტორთა თავისუფალი მობილობა.

სადღეისოდ საერთო ბაზრის პარამეტრებს სრულად შეესაბამება მხოლოდ ევროკავშირი. აქ მუშახელს ნებისმიერ ქვეყანაში საერთო ბაზარზე შეზღუდვის გარეშე თავისუფლად შეუძლია მუშაობა. საერთო ბაზრის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მუშას წევრი ქვეყნიდან მოუწევდა განაცხადის შეტანა საემიგრაციო ვიზაზე, რომლის აღება რთულია.

სრული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. ამ დროს ხდება ფულად-საკრედიტო და სოციალური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, სგადასახადო სისტემის უნიფიცირება, აგრეთვე იქმნება ერთიანი ორგანო, რომლის გადაწყვეტილება სავლდებულოა ეკონომიკური კავშირის ყველა წევრისათვის, ეს სტადია გარკვეული დონის პოლიტიკურ ინტეგრაციასაც გულისხმობს. მაგალითად, ევროპარლამენტის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო **ევროპის პოლიტიკურ გაერთიანებაში, ხოლო ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში** დიდი როლი ითამაშა, ერთი მხრივ, ევროპის ცენტრალური ბანკის შექმნამ, რომელიც ხელს უწყობს ევროპაში ერთიანი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გატარებას და, მეორე მხრივ, ევროკავშირის საერთო ვალუტის შემოღებამ 2002 წლის 1-იანვრიდან. ევროპის ცენტრალური ბანკი მდებარეობს ფრანკფურტში (გერმანია), რომელიც პასუხისმგებელია ევროზონაში მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაზე.

ყველაზე დიდი და ყველაზე მეტად წარმატებული რეგიონალური სავაჭრო ჯგუფია **ევროკავშირი,** რომელიც რელურად ცნობილი იქნა 1958 წლის 1-იანვრიდან, როგორც ევროპული გაერთიანება. ევროკავშირი კი შეიქმნა ევროპული გაერთიანების ბაზაზე მაასტრიხტის (ნიდერლანდი) 1993 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის დაშლიდან ზუსტად ორი თვის შემდეგ. ევროკავშირის შტაბბინა მდებარეობს ბრიუსელსა (ბელგია) და სტრასბურგში (საფრანგეთი). ევროკავშირი უზრუნველყოფს საქონლით, მომსახურებით, კაპიტალით და სამუშაო ძალით თავისუფალ ვაჭრობას. ევროკავშირი დღემდე შვიდჯერ გაფართოვდა და ერთხელ შემცირდა დიდი ბრიტანეთით. ამჟამად მასში 27 ქვეყანაა წარმოდგენილი.

1992 წელს, ევროკავშირის წევრებმა სავალუტო კავშირის დასაფუძნებლად ხელი მოაწერეს მაასტრიხტის ხელშეკრულებას. ევროპაში, საერთო ვალუტაზე გადასვლის გადაწყვეტილებამ წევრი ქვეყნებისთვის, რომლებმაც ის მიიღეს, გააუქმა

სხვასხვა ვალუტა, როგორც ვაჭრობაზე ბარიერი. ამჟამად ევროკავშირის 27 ქვეყნიდან ევროზონაში 19 წევრი ქვეყანაა. სხვადასხვა მიზეზით ევროზონაში არ შედის დანია, შვედეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი და უნგრეთი.

აქ ლოგიკურია გავიხსენოთ ქვეყნის ზომის თეორია, რომელიც გულისხმობს, რომ დიდი ქვეყნები, როგორც წესი, ნაკლებად არიან დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე, ვიდრე პატარა ქვეყნები. იგივე პრინციპი მართლდება ეკონომიკურ ბლოკებთან დაკავშირებით და აქ მივუთითებთ, რომ **რეგიონალური ინტეგრაცია** ერთ-ერთი გზაა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ბაზრის ის ზომა, რაც აუცილებელია წევრების გარე ვაჭრობაზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

ამგვარად, სატარიფო და არასატარიფო ბარიერები ხელს უშლიან ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურებისა და რესურსების თავისუფალ მოძრაობას. ინტეგრაცია კი ხელს უწყობს მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობათა გაფართობას და ეროვნულ ეკონომიკათა ეფექტიანობის ამაღლებას.

ევროკავშირის მართვის ზეეროვნული ინსტიტუტებია: ევროპის კომისია უზრუნველყოფს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ამზადებს კანონებს და ახორციელებს ევროკავშირის სხვადასხვა ყოველდღიურ პროგრამებს; **ევროკავშირის საბჭო,** ან ევროპის სამიტი შედგება თითოეული წევრი ქვეყნის სახელმწიფო მეთაურებისგან; **ევროპის პარლამენტის სამი მთავარი პასუხისმგებლობაა:** საკანონმდელო ძალაუფლება, ბიუჯეტის კონტროლი და აღმასრულებელთა გადაწყვეტილებების ზედამხედველობა; **ევროპის სასამართლო უზრუნველყოფს** ევროკავშირის ხელშეკრულებების თანმიმდევრულ ინტერპრეტირებას და გატარებას.

1987 წელს ერთიანი ევროპული აქტი შეიქმნა იმისათვის, რომ გაუქმებულიყო დარჩენილი არასატარიფო ბარიერები ევროპაში ვაჭრობაზე.

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA) მოიცავს კანადას, აშშ-სა და მექსიკას. ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვარს. მოიცავს თავისუფალ ვაჭრობას საქონლის, მომსახურებისა და ინვესტიციის თვალსაზრისით.
არის დიდი სავაჭრო ბლოკი, მაგრამ მოიცავს სხვადასხვა ზომისა და სიმდიდრის ქვეყნებს. **NAFTA-ს მნიშვნელობა:** აშშ-კანადის ვაჭრობა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ორმხრივი ვაჭრობაა. აშშ მექსიკისა და კანადის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია.

სტატიკური და დინამიკური ეფექტები. NAFTA ქმნის ეკონომიკური ინტეგრაციის სტატიკურ და დინამიკურ ეფექტებს. მაგალითად, კანადისა და აშშ-ს მომხმარებლები სარგებლობენ მექსიკიდან დაბალი ხარჯების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით – ეკონომიკური ლიბერალიზაციის ***სტატიკური*** ეფექტი. აშშ-ს

მწარმოებლები ასევე სარგებლობენ დიდი და მზარდი მექსიკური ბაზრით, რომელსაც უზარმაზარი მადა აქვს აშშ-ს პროდუქტების მიმართ - ***დინამიკური*** ეფექტი.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების **ვაჭრობის მცირე ნაწილი** წარმოებს დაბალი შემოსავლების მქონე სხვა ქვეყნებთან. საერთო ჯამში, ახალბედა ეკონომიკები მტკიცედ ემყარებიან მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებთან ვაჭრობას, როგორც წესი აწარმოებენ პირველადი და შრომატევადი პროდუქტების ექსპორტირებას ახალი და ტექნოლოგიურად განვითარებული პროდუქტების სანაცვლოდ.

ლათინო-ამერიკული ეკონომიკური ინტეგრაცია. სამხრეთ ამერიკაში მოქმედებს: **MERCOSUR-ი** საბაჟო კავშირი არგენტინას, ბრაზილიას, პარაგვაის და ურუგვაის შორის და ანდების ჯგუფი (ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ). მიუხედავად იმისა, რომ **ანდების საზოგადოება (CAN)** ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის MERCOSUR-ივით მნიშვნელოვანი, ის მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონალური ჯგუფია სამხრეთ ამერიკაში. CAN-ი 1969 წლიდან არსებობს. თუმცა მისი ორიენტირება იზოლაციონიზმიდან და სტატიზმიდან (ეკონომიკური კონტროლის სახელმწიფოსა და ცენტრალური მთავრობის ხელში გადასვლა) შეიცვალა და ის ღიაა უცხოური ვაჭრობისა და ინვესტიციისთვის.

5.4. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (OPEC)

სახელმწიფოთა თანამშრომლობის ანუ ინტეგრაციის ერთ-ერთი ფორმაა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია ანუ (OPEC). ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია საერთაშორისო კარტელის მწარმოებლების მაგალითია, რომელიც ფასებზე ზეგავლენის მოსახდენად ეყრდნობა კვოტებს. გავიხსენოთ, რომ საერთაშორისო კარტელი არის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი იურიდიულად დამოუკიდებელი საწარმოების გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთში თანხმდებიან გასაყიდ საქონელზე ფასების დაწესებაში და ბაზრების გაყოფაში ტერიტორიული პრინციპით ქვოტირების საფუძველზე.

OPEC დაარსდა 1960 წელს, ამჟამად მოიცავს 13 ქვეყანას. ესენი არიან: ალჟირი, ანგოლა, ეკვადორი, ირანი, ერაყი, ქუვეითი, ლიბია, ნიგერია, ყატარი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ვენესუელა. **OPEC – ის სათავო ოფისი მდებარეობს ვენაში (ავსტრია).** OPEC-ის წევრები გამოირჩევიან მეპ-ის მეტად მნიშვნელოვანი დონით მოსახლეობის ერთ სულზე ნავთობის ექსპორტის წყალობით.

მაგრამ ეს ქვეყნები უპირატესად არ შეიძლება ჩაითვალოს ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებად. ვინაიდან ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების (აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა და სხვა) ეკონომიკა დაფუძნებულია ძირითადი კაპიტალის მსხვილ რესურსებზე, მოწინავე საწარმოო ტექნოლოგიებსა და კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

OPEC აკონტროლებს ფასებს წევრ ქვეყნებზე საწარმოო კვოტების დაწესებით. საუდის არაბეთს ისტორიულად აქვს დომინანტური მიმწოდებლის როლი მიწოდებასა და ფასებზე ზეგავლენის მხრივ. პერიოდულად - სულ მცირე, ყოველწლიურად - OPEC ნავთობის მინისტრები იკრიბებიან, რომ განსაზღვრონ კვოტა თითოეული ქვეყნისათვის, რაც ეფუძნება მიწოდებისა და მოთხოვნის გამოთვლებს.

OPEC -ის წევრი ქვეყნები კი, დიდი მოცულობის მოსახლეობით, საჭიროებენ ნავთობიდან დიდ შემოსავლებს, რათა დააფინანსონ სამთავრობო პროგრამები. შედეგად, მეტი შემოსავლის მისაღებად ისინი ვერ უძლებენ ცდუნებას და აჭარბებენ მათ საექსპორტო კვოტებს.

ნავთობზე მაღალი ფასების შენარჩუნებას OPEC-ისთვის უარყოფითი მხარე აქვს. OPEC-ის არაწევრი ქვეყნებიდან იზრდება კონკურენცია, რადგანაც კონკურენტების მიერ შეგროვილი შემოსავლები უფრო და უფრო მატულობს. რადგანაც OPEC-ის ზოგიერთი ქვეყანა წარმოებას გზას უბლოკავს, მთავარი მწარმოებლები, როგორიცაა BP-ი, Exxon Mobil-ი და Shell-ი, ინვესტიციებს მეტწილად დებენ OPEC-ის არაწევრ ქვეყნებში. ცდილობენ შევიდნენ ისეთ ტერიტორიებში, როგორიცაა კასპიის ზღვის აუზი, რუსეთის ფედერაცია, მექსიკის ყურე, ანგოლა და სხვა. ამ ტერიტორიებზე წარმოება მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება.